ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4723153

ნომერი: AR1711669

თარიღი : 08.10.2019

გაცემის თარიღი : 23.10.2019

გაცნობის თარიღი : 29.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან., (ნაკვეთი N1/22) ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N191; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან., (ნაკვეთი N1/22) ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N191; ქალაქი თბილისი , მინდელის ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/044);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ გვაზავა პ/ნ 01026011397
- თბილისი, გამსახურდიას გამზირი II კვარტ. მე-9 კორპ., ბ. 14

ორგანიზაცია:

- შპს "სტრადა მოტორსი" კოდი: 401960286

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4531256 (05/06/2019) ბრძანებით დამტკიცებულ მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 8

ოქტომბერს №AR1711669 განცხადებით მომართა მოქალაქე ზურაბ გვაზავამ და მოითხოვა სამსახურის №4531256 (05/06/2019) ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4531256 (05/06/2019) ბრძანებით ქალაქი თბილისში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან, (ნაკვეთი N1/22); ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N191 (საკ კოდი: 01.13.02.001.063; ფართობი 3539.0 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი / შენობის (N1) რეკონსტრუქციისა და ახალი მშენებლობა (საგამოფენო სავაჭრო პავილიონი, ოფისი) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

20/06/2019 წ. № 4555385 ბრძანებით შევიდა ცვლილება დადგენილ სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საზოგადოებრივი საზღვრები დაფიქსირდა სამხრეთ-დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული გზების მხრიდან.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4531256 (05/06/2019) ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ს/კ N01.13.02.001.063 და ს/კ N01.13.02.001.075 მიწის ნაკვეთების გაერთიანება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება №4531256 (05/06/2019) ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4531256 (05/06/2019) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.13.02.001.075; მიწის ნაკვეთის ფართობი 3953 კვ.მ.
შენიშვნა: პროექტის შეთანხმების სტადიაზე გაერთიანდეს ნაკვეთები;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4531256 (05/06/2019) და №4555385 (20/06/2019წ.) ბრძანებ(ებ)ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.